№1 (9896) ◆ იანვარი, 2023 წელი ◆ ფასი 50 თეთრი ◆ გაზეთი გამოდის 1933 წლის 3 მაისიდან

ახალი წლის დღეები ამბროლაურის მუნიციპალიტეტში



ამბროლაური 29 დეკემბერს შეუერთდა იმ 63 ქალაქს, სადაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით და მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით გაიმართა წინასაახალწლო ღონისძიებები. ფაქტიურად ახალმა – 2023 წელმა ათვლა 24 დეკემბრიდან დაიწყო. თუმცა საზეიმო განწყობილება და ახალი წლის შესახვედრად მზადება უფრო ადრიანად შეიმჩნეოდა მოსახლეობაში, რის საფუძველსაც იძლეოდა ტურიზმითა და ბარაქიანი რთველით მიღებული შემოსავლები და ზოგადად მუნიციპალიტეტში არსებული ვითარება. 2022 წელი ნამდვილად იყო 2021 წელზე უკეთესი და იმ იმედით განწყობილი ადამიანები, რომ კიდევ უფრო უკეთესი იქნება 2023 წელი ნამდვილად საკმაოდ იყვნენ წარმოდგენილი დილიდანვე ქალაქის ცენტრში. იქ, სადაც იდგა საზეიმოდ მორთული ახალი წლის სიმბოლო – ნაძვის ხე.

კოსტავასა და რუსთაველის ქუჩების გადაკვეთაზე დადგმულ ნაძვის ხეს გასული წლის მსგავსად ამჯერადაც სხვა დატვირთვა ჰქონდა. საახალწლო ღონისძიებებში ჩართვამდე საზოგადოების უმრავლესობამ ივერიის ღვთისმშობლის ტაძარში მოილოცა. მშვიდობა, ერის გამრავლება, საკუთარ ოჯახებთან ერთად უფალს ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე და გამთლიანება შესთხოვა. უკეთესი მომავლის რწმენით დამუხტული შვილებთან, შვილიშვილებთან და სტუმრებთან ერთად უშუალო მონაწილენი გახდნენ იმ საინტერესო, ეფექტური ღონისძიებებისა, რომლითაც დატვირთული იყო მთელი დღე, დღე, რომელიც გათვლილი იყო ყველა თაობის ადამიანებისათვის. არჩევანიც დიდი იყო: საშობაო ბაზრობა, საბავშვო გასართობი სივრცეები, ტერიტორიაზე განთავსებული ხის საახალწლო სახლები, ფოტოგადასაღები, სტენდები, ინსტალაციები... თოვლის ბაბუა საჩუქრებით მასპინძლობდა პატარებს, ადგილობრივი ანსამბლები კი დღის განმავლობაში ჩვეული მაღალი საშემსრულებო ოსტატობით ატკბობდნენ მსმენელს. აქ შეკრებილი მრავალრიცხოვანი საზოგადოების გვერდით იყვნენ სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები, თანამშრომლები, მუნიციპალიტეტის აქტივი. ბედნიერები იყვნენ ის მოსწავლეები, რომლებსაც მერიისაგან საზეიმო ვითარებაში გადაეცათ სწავლაში მიღწევებისათვის ლეპტოპები. „წლის საუკეთესო თანამშრომლის“ საპატიო სიგელები გადაეცათ კულტურის ცენტრის წარმატებულ თანამშრომლებს...

საზეიმო ვითარებაში აინთო მთავარი საახალწლო ნაძვის ხე და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, ნაძვის ხესთან შეკრებილ საზოგადოებას, ახალი წელი მიულოცეს მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ **ქრისტინა კობახიძემ** და მუნიციპალიტეტის მერმა **ზვიად მხეიძემ**.

საინტერესო პროგრამა შესთავაზეს საზოგადოებას ადგილობრივმა ანსამბლებმა. სლოგანით „ახალი წლის დღეები – 2023“ გამართული საღამო ამბროლაურში **სალომე ბაკურაძის, ნოდიკო ტატიშვილის, ჯგუფის „მიქსტურა“** კონცერტითა და გრანდიოზული ფეიერვეკით დასრულდა, თუმცა საზეიმო განწყობა მთელი თვე გაგრძელდა მუნიციპალიტეტში. ქალაქის მთავარი ნაძვის ხე, მის ირგვლივ შექმნილი გარემო, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, ამის განწყობას ნამდვილად ქმნიდა.

ასტროლოგების განმარტებით, აღმოსავლური კალენდარით 22 იანვარს 0:53 საათზე შემოვიდა (შავი) **კურდღლის**, იაპონური კალენდარის მიხედვით – **კატის** წელიწადი, რომელიც 2024 წლის 9 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება. 2023 წყლის სტიქიის წელია. ჩვენ პირველშიც ავღნიშნეთ და თოთხმეტშიც ახალი წლის შემობრძანება. სამი სიმბოლო კატა-კურდღელი და ვეფხვიც (გასული წლის სიმბოლო) განვათავსეთ ნაძვის ხესთან და ჩიჩილაკთან ერთად. სანთლებიც ავანთეთ, ჩანაფიქრიც გავანდეთ უფალს. ასაკის მიუხედავად სურვილები და ნატვრები ხომ ყველას აქვს.

ჰო და, ძვირფასო ამბროლაურელებო, რაც შესთხოვეთ უფალს შეგსრულებოდეთ 2023 წელში.

* * *

საახალწლო ნაძვის ხეები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებშიც მოეწყო, მაგრამ **ჭრებალოელებმა** მას სხვა დატვირთვა შესძინეს. არა მარტო ადგილობრივებს, არამედ თემში შემავალი სოფლებიდან მოსულ მოქალაქეებს და სტუმრებსაც საინტერესო, მრავალფეროვანი პროგრამის შეთავაზებით ნამდვილად ბედნიერი წუთები აჩუქეს. ღონისძიებაში ამბროლაურის კულტურის ცენტრის კოლექტივებიც იყვნენ ჩართული.

მრავალჟამიერის ფონზე, მოკაშკაშე ნაძვის ხესთან შეკრებილებმა ახალ წელს მშვიდობა, ბედნიერება და ჯანმრთელობა უსურვეს ერთმანეთს, ერს. პატარებმა თოვლის ბაბუასაგან საჩუქრებიც მიიღეს. ჭრებალოელებმა ტორტიც გაჭრეს, მწვადებიც შეწვეს, სუფრასთანაც ლაზათიანად მოილხინეს და შთამბეჭდავი ემოციებისათვის სა მადლობელი სიტყვებიც არ დაიშურეს ორგანიზატორების მისამართით.

ჭრებალოელების განცხადებით ყველაფერმა იდეალურად ჩაიარა ის, რაც იქ ხდებოდა იყო სიყვარულის, ბედნიერების, ერთობის, სიხარულის ზეიმი.

დაგვაბარეს: დაე ეს განწყობა დაჰბედებოდეს 2023 წელში მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და სრულიად დაქართველოსო.

ამინ!

ახალმა წელმა ათვლა დაიწყო

ახალმა – 2023 წელმა ათვლა დაიწყო. ახალი გეგმებითა და ამოცანებით, რომელთა განხორციელებით წლის ბოლოს სასურველი შედეგის დადებას აქედანვე სჭირდება მუნიციპალიტეტის ყველა რგოლის, ქვეყნისა და კუთხის ინტერესებიდან გამომდინარე, შეთანხმებული, ენერგიული და ერთგული შრომა.

დღის წესრიგის ეს მოთხოვნა გასდევდა ლაიტმოტივად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან და მერიის სტრუქტურული სამსახურების ხელმძღვანელებთან გამართულ სამუშაო შეხვედრებს, რომელთა მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი **ზვიად მხეიძე**, მერის პირველი მოადგილე **დავით გოგლიძე**, მოადგილე **მამუკა ხიმშიაშვილი** და საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძე**.

გასული წელს შესრულებული სამუშაოების ანალიზის შემდეგ იმსჯელეს იმ ინიციატივებზე, რომლებიც უნდა განხორციელდეს მიმდინარე წელს. ასევე სხვადასხვა მიმართულებით არსებულ მდგომარეობასა და იმ საჭიროებებზე, რომლებიც შესაბამისი სამსახურების ჩართულობას მოითხოვს.

განსაკუთრებული ყურადღება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა – 2023“-ზე გამახვილდა, რომლის ფარგლებშიც პრიორიტეტების გამოვლენის მიზნით, მოსახლეობასთან შეხვედრები შემუშავებული გრაფიკის მიხედვით 26 იანვრიდან დაიწყო.

სამუშაო შეხვედრების მონაწილეებმა კონკრეტული დავალებებიც მიიღეს.განსაკუთრებულად მოსახლეობის მიმართვებზე სწრაფ რეაგირებასა და მათთვის მერიაში მოქმედ პროგრამებზე დეტალური ინფორმაციის მიწოდების კუთხით.

გაიმართა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს მორიგი – ოცდამეთორმეტე სხდომა, რომელმაც მოისმინა და დამაკმაყოფილებლად შეაფასა, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების დირექტორების მიერ, წარმოდგენილი ანგარიშები 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

სხდომამ ცვლილება შეიტანა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და საპრივატიზაციო გეგმაში.

მიღებული განკარგულებები, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებულია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ეფექტური სოციალური პროგრამები

მუნიციპალიტეტში 2023 წელშიც მოსახლეობის საჭიროებებზე გათვლილი სოციალური დაცვისა და სამედიცინო მომსახურების პროგრამები კვლავ იმუშავებს. გაზრდილი თანხებით და პარამეტრებით ადგილობრივ ბიუჯეტში აღნიშნული პროგრამების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 909700 ლარი.

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოქალაქეებს შევახსენებთ, რომ სოციალური პროგრამის მიზანია ახალშობილთა და მრავალშვილიანთა ოჯახების მატერიალური წახალისება, მოწყვლადი ჯგუფების საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება, ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და საცხოვრებელი პირობების შექმნა-გაუმჯობესება.

სოციალური დაცვის პროგრამის ქვეპოგრამებია:

- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური ერთჯერადი კვება;
- 10001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების საახალწლო და სააღდგომო სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფა;
- ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება;
- ახლად შექმნილი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება;
- მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ზრუნვის ხელშეწყობა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზრუნვის ხელშეწყობა;
- „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის“ სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა დახმარება;
- ხანძრის შედეგად (საცხოვრებელ სახლზე) დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება;
- სამი და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვიან ოჯახზე ერთჯერადი ფულადი დახმარება;
- მარჩენალდაკარგული (18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება;
- უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველყოფა;
- მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფულადი დახმარება;
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ერთჯერადი ფულადი დახმარება;
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზამთრის თბობისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება

შენიშვნა: ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვების მომსახურება გაეწევა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ან მარტოხელა პენსიონერს (რომელსაც არ ჰყავს ოჯახის წევრი), რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 65000-ს.

***

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამის მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

პროგრამა უზრუნველყოფს იმ სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას, რომელიც არ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამებით ან კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ. აგრეთვე მომსახურების იმ ნაწილის დაფინანსებას, რომელიც არ/ან ნაწილობრივ ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვისა და სხვა სახის დაზღვევით.

სამედიცინო მომსახურების ქვეპროგრამებია:

- ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურება (მედიკამენტური მკურნალობა);
- ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადებების მქონე პაციენტთა დაფინანსება/თანადაფინანსება;
- ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსება;
- ფენელიკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობა.

***

აქვე მკითხველს ვთავაზობთ იმ სიახლეებს, რომლებიც შეტანილია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში წელს მოქმედ სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებში და რომელიც გაგვაცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელმა ქალბატონმა მარიკა დვალმა.

– სოციალური პროგრამის ფარგლებში, ახალშობილთა ოჯახებს შეუძლიათ ისარგებლონ ერთჯერადი ფულადი დახმარებით, რომელიც მიმდინარე წელს გაიზარდა და ერთი ბავშვის შეძენის შემთხვევაში – 500 ლარს, ტყუპი ახალშობილების შეძენის შემთხვევაში კი – 1200 ლარს შეადგენს. გარდა ამისა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, სამი და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვიან ოჯახებს, შეუძლიათ ისარგებლონ ერთჯერადი ფინანსური დახმარებით – 400 ლარი, მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე ოჯახებმა კი – 600 ლარით.

გაიზარდა მარჩენალდაკარგული ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, ასევე გამარტივდა ახლადშექმნილი ოჯახების 1000 ლარიანი ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიღების წესი... აღნიშნულის გარდა, სოციალური პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სახის შეღავათები ხორციელდება შშმ პირებზე, უსახლკაროებზე, ხანძრით დაზარალებულებზე, მარტოხელა მშობლებზე და სხვა.

გვაქვს მნიშვნელოვანი სამედიცინო პროგრამები, რომლებიც მიმართულია ქირურგიულ იოპერაციების, სხვადასხვა სამედიცინო კვლევების და მედიკამენტური მკურნალობის დაფინანსებისკენ.

მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია, თითოეული პროგრამა, რომელიც ხორციელდება იყოს მაქსიმალურად ეფექტიანი. ამ მიმართულებით ბევრი საინტერესო ინიციატივა იგეგმება, თუმცა, პირველ ეტაპზე განხორციელდება სოციალური საჭიროების მასშტაბური კვლევა, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივ მოსახლეობაში არსებული საჭიროებების მეტად გამოკვეთას და საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო ეფექტური ღონისძიებები განვახორციელოთ.

ახალ წელს გვილოცავენ

ჩემო ძვირფასო ამბროლაურელებო!

საუკუნეს მიღწეული ადამიანი გილოცავთ 2023 წლის შემობრძანებას.

დაე, თითოეული თქვენთაგანისთვის მოეტანოს მას ეკონომიკური სიძლიერე, გამრავლება, ჯანმრთელობა, ბენიერება და სიხარული. დაე ყველამ მოათიოს ხანი ჯანმრთელმა მშვიდობიან ქვეყანაში.

93 წლის
გულჩინა დავითულიანი

***

ძვირფასო ამბრულაურელებო! პატივისცემით მოგესალმებით და გილოცავთ ახალ წელს. გისურვებთ მშვიდობას, გამრავლებას, ჯანმრთელობას, გაძლიერებას მეგობრობით და ერთმანეთის გატანით.

მოსწავლე-ახალგაზრდობას კი ვთხოვ: გაუფრთხილდით და ერთგული იყავით ჩვენი ღირსეული წინაპრების დანატოვარი საუნჯისა. გახსოვდეთ და არ დაივიწყოთ: **ენა, მამული, სარწმუნოება**.

იზო ჯოხაძე
ამბროლაურის საპატიო მოქალაქე

***

დედობა საპატიო ტვირთია, ბედნიერებაა, მითუმეტეს მრავალშვილიანი დედის სტატუსი.

გილოცავთ დედებო ახალი წლის შემობრძანებას. ფეხბედნიერი ყოფილიყოს თითოეული თქვენთაგანის ოჯახებისთვის, სრულიად საქართველოსთვის.

ქორწილების და ძეობების სიმრავლით გამორჩეული ყოფილიყოს 2023 წელი ჩვენი მუნიციპალიტეტისა და კუთხისათვის.

გფრავდეთ უფალი.

ნინო რეხვიაშვილი, ოთხი შვილის დედა, პედაგოგი

***

ძნელია ცხოვრება სამშობლოსგან, ოჯახისგან შორს, მაგრამ რას ვიზავთ, ეს ბრძოლაა გადარჩენისთვის. დარდი და ტკივილია მიგრანტებისთვის, რომლის ერთერთი წევრთაგანი ვარ უკვე წლებია.

მოგესალმებით უსაზღვრო მონატრებით ჩემო ამბროლაურელებო, ჩემო ახლობლებო, თანასოფლელებო და გილოცავთ ახალ წელს.

შევსთხოვ უფალს: მას მოეტანოს თითოეული თქვენთაგანისთვის ულევი სიხარული, ჯანმრთელობა, ხვავი და ბარაქა. მშვიდობა, აღმშენებლობა, ერის გამრავლება ჩვენს სამშობლოს, ჩვენს კუთხეს – რაჭას.

ოკეანის გაღმიდან
შორენა იმნაძე

ახალი წლის დღეები - 2023 ამბროლაურში

ქ. ამბროლაურში, 7 იანვარს, ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრიდან, საზეიმო წირვის დამთავრებისთანვე, დაიწყო საშობაო ალილოს მსვლელობა, სასულიერო პირების, სტიქაროსნებისა და მრევლის მონაწილეობით.

მსვლელობას შეუერთდნენ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებული **პაპუნა მარგველიძე**, რწმუნებულის პირველი მოადგილე **ქრისტინა კობახიძე**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი **ზვიად**

მხეიძე და საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძე**. მათ ალილოს მონაწილეებს მილოცვასთან ერთად საშობაო ნობათები გადასცეს.

შემოწირული ტკბილეული და სხვა საჩუქრები სოციალურად დაუცველ ოჯახებს გადაეცა.

* * *

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს ახალი წელი მიულოცეს და საახალწლო სასურსათო პაკეტები გადასცეს მაჟორიტარმა დეპუტატმა **გოჩა ენუქიძემ**, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ასლან საგანელიძემ**, მერმა **ზვიად მხეიძემ** და მერის პირველმა მოადგილემ **დავით გოგლიძემ**.

* * *

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში საახალწლო ღონისძიებები ზამთრის არდადეგებს დაემთხვა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის, რომ აქტიური მონაწილენი გამხდარიყვნენ, როგორც სკოლებში ისე ყველა იმ საახალწლო ღონისძიებებისა, რომლებიც გაიმართა მუნიციპალიტეტში.

* * *

მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სრულიად საქართველოსთან ერთად მშვიდობიანი და წარმატებული ახალი წელი უსურვა შუა აზიაში მოღვაწე წარმოშობით ბარეულელმა კაკი დავითულიანმა, ხოლო ბუგეულის თემში სოციალურად დაუცველ მაცხოვრებლებს მილოცვასთან ერთად საახალწლოდ საჩუქრებიც გამოუგზავნათ.

წლის შემაჯამებელ საახალწლო გამოფენაზე მიიწვია უ. ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლამ დამთვალიერებლები, რომლებმაც ვერ დაფარეს ნორჩ შემოქმედთა ნახელავის ხილვით გამოწვეული აღფრთოვანება და მას „ფერთა ზეიმი ზღაპრულ სამყაროში“ უწოდეს.

* * *

საახალწლო სასურსათო პაკეტები მიიღეს აგრეთვე სოციალური პროგრამის „უფასო სასადილოს“ 35 ბენეფიციარმა. პაკეტები მილოცვებთან ერთად მათ გადასცეს მუნიციპლიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **დავით გოგლიძემ**, მოადგილემ **მამუკა ხიმშიაშვილმა**, სოციალური სასახურის ხელმძღვანელმა **მარიკა დვალმა**, „წითელი ჯვარის“ ამბროლაურის საზოგადოების ხელმძღვანელმა **ირინა კერესელიძემ**.

მუნიციპალიტეტში შობას მოსული თოვლი მოუხდა ბუნებასაც და ადამიანების გუნება-განწყობასაც. საოცრად ლამაზი იყო თეთრ საბურველში გახვეული ამბროლაური. თუმცა გარკვეული სიძნელეებიც შექმნა. კერძოდ, მუნიციპალიტეტის სოფლების ნაწილს შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება, მაგრამ ოპერატიულად დაიწყებულმა სამუშაო პროცესებმა უზრუნველყო მუნიციპალიტეტის სოფლებში მისასვლელი და საუბნო გზების პრობლემური მონაკვეთების გაწმენდა, ელექტროენერგიის აღდგენითი სამუშაოებით ყველა იმ სოფელში ჩვეულ რეჟიმში ელექტროენერგიის მიწოდება, რომლებშიც ავარიული შემთხვევებით მიწოდება შეწყვეტილი იყო. არ შეფერხებულა აგრეთვე ტრანსპორტის მოძრაობა შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე.

საახალწლო დღეებში მოსულმა თოვლმა გაახარა დიდებიც და პატარებიც. ჩვენი წინაპრები თვლიდნენ, რომ ამ პერიოდში მოსული თოვლი მშვიდობიანი და ბარაქიანი წლის მაუწყებელი იყო. გვჯერა, 2023 წელი ფეხბედნიერი იქნება სრულიად საქართველოს მოსახლეობისათვის.

დღეს და მრავალ წელს,
დღეს და მრავალ წელს
როცა ახალი წლის
დილა დგებოდეს –
მხოლოდ დიდება შენს
გზა-სავალზე,
მხოლოდ დიდება
დაგბედებოდეს.
დღეს და ყოველთვის,
როცა ახალწლის
დილის მზის სხივი
შენს მთებს სწვდებოდეს –
ასი ათასი, ასი ათასი
მხლოდ მშვიდობა
დაგბედებოდეს!
დღეს და ყოველ წელს,
დღეს და ყოველ წელს
არ ძველდებოდე,
არ ბერდებოდე –
უხვად მოგეცეს,
უხვად მოგეცეს,
მზე და ბარაქა
დაგბედებოდეს!
კვლავაც ძლიერი,
კვლავაც მაგარი,
როგორც ფოლადი,
როგორც გრანიტი,
ბევრი სახლ-კარი,
ბევრი აკვანი,
ბევრი ლხინი და
თვალ-მარგალიტი!

ი. აბაშიძე

იანვარის თვე სხვა მნიშვნელოვანი თარიღებითაცაა დატვირთული

14 იანვარს ერთდროულად აღინიშნება ქართული სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობის სიმბოლოს – **დროშის** და ქართული **თეატრის** დღეები.

დროშა – ირანულ (ავესტურ) ენაზე ნიშნავს სინათლეს, ნათელს, თვალსაჩინოს. ქართულ ენაში მისი სინონიმებია: ალამი, ბაირაღი.

ვურჩევთ მოსწავლე-ახალგაზრდობას გაეცნონ სარა ბარნაველის ავტორობით 1953 წელს გამოშვებულ წიგნს „ქართული დროშები“.

* * *

ქართული თეატრი, თავისი მდიდარი და მრავალფეროვანი ისტორიით, მსოფლიო მასშტაბითაა გამორჩეული განსაკუთრებულად ეროვნული ხელწერით. ვამაყობთ, რომ ქართული თეატრის გავითარების ძალიან ვრცელ გზაზე ღირსეულად ვლიან ამბროლაურელი თეატრალები. ვუღოცავთ და იმედია, 2023 წელშიც არაერთხელ გაგვახარებენ ახალი თუ აღდგენილი სპექტაკლების შემოთავაზებით.

* * *

19 იანვარს მართლმამიდებლური ეკლესია აღნიშნავს უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს – **ნათლისღებას.**

ნათლისღების ნაკურთხი წყლის მადლი, ძალა და სიწმინდე არ მოჰკლებოდეს თქვენს ოჯახებს ძვირფასო თანაკუთხელებო, გილოცავთ!

ეკოკლუბი „02“

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშის საჯარო სკოლა 2022–2023 სასწავლო წელს ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს აქტიურ სამუშაო პროცესს და მონაწილეობას იღებს ეკო კლუბში –„ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2023“. სკოლამ პედაგოგების – ავთანდილ ცხვედიანის და ხატია თაბაგარის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბა ეკოკლუბი „02“, კლუბურ მუშაობაში ჩართული არიან V, VII და VIII კლასის მოსწავლეები. მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან სკოლამ სამუშაო მიმართულებად აირჩია **„დედამიწის ეკოსისტემები“**.

ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია ეკოკლუბის კონკურსია, რომელიც წარმოადგენს სკოლებისთვის ახალი შესაძლებლობების, ცოდნის მიღებისა და გაზიარების, პიროვნული ზრდისა და ორგანიზაციული განვითარების უწყვეტ პროცესს.

კონკურსის მთავარი მიზანია, სკოლის მოსწავლეებს მიაწოდოს ინფორმაცია მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ, დაანახოს ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობები ბუნებრივი და სოციალური გარემოს გასაუმჯობესებლად და ჩამოუყალიბოს გარემოსადმი პასუხისმგებლიანი დამოკიდებულების უნარი. კონკურსში ჩართული პირები თავად ხდებიან მდგრადი განვითარების პროცესის მონაწილეები.

კონკურსში მონაწილეობით მოსწავლეები დაეუფლებიან ისეთ ცოდნას და უნარებს, რითაც შეძლებენ შეცვალონ გარემოში ის, რაც არ არის მისაღები. მართალია ეს ადვილი არ იქნება, რადგან ბავშვები მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 20% შეადგენენ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ისინი მომავალს 100%-ით ქმნიან.

პროექტში მონაწილეობით მოსწავლეები მიიღებენ პრიზებს, წარმოაჩენენ სკოლას და საკუთარ თავს, შეიძენენ საჭირო უნარ-ჩვევებს, გაიცნობენ ქვეყნის მაშტაბით თავიანთ თანატოლებსა და საინტერესო ადამიანებს, განახორციელებენ საზოგადოებისთვის სასარგებლო აქტივობებს, გაიგებენ მეტს ეკოლოგიისა და აქტუალური გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ.

წარმატებები ჩვენს ეკოკლუბელ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ესოდენ აქტუალურ საქმიანობაში.

ჭყვიშის საჯარო სკოლა

ველევის საჯარო სკოლის

მე-4 კლასის მოსწავლე ნიკოლოზ გოგსაძე პედაგოგ თეონა მაცაბერიძის ხელმძღვანელობით აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა აქტივობებში.

ინტერესის სფეროში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მუზეუმებს. მათ დანიშნულებასა და სახეებში გარკვევის მიზნით ვირტუალურად იმოგზაურა მუზეუმებში. გაეცნო იმ პროფესიებს, რომელთა წარმომადგენლები ემსახურებიან კულტურის ამ სფეროს, ასევე იმ ქცევის წესებს, რომლებიც სავალდებულოა აქ მოხვედრილი ადამიანებისთვის.

ძიების პროცესში გაჩნდა მინი მუზეუმის მოწყობის იდეა. თემად შეარჩია ძველი და თანამედროვე ქართული ფული. შეისწავლა მისი ისტორია, თვითონვე ქაღალდისა და პლასტელინისგან დაამზადა ძველი მონეტების ნიმუშები და საზოგადოებას წარუდგინა ხელთნაკეთი ექსპონატებით მდიდარი მინი მუზეუმი, სადაც გიდის როლიც კარგად მოირგო.

წარმატებები **ნიკოლოზს**, ასევე მის დას – **ლიზის**, რომელსაც ახლახანს მუნიციპალიტეტის მერიისაგან საჩუქრად გადაეცა ლეპტოპი.

განცხადება

აუქციონზე გამოტანილია ქ. ამბროლაურში კოსტავას ქუჩის №9-ში მდებარე სსიპ ქალაქის მე-2 საჯარო სკოლის მეორე კორპუსში არსებული (35,36კვ.მ) ფართი ბუფეტის მოსაწყობად.

აუქციონი გაიმართება ელექტრონულად 2023 წლის 30 იანვარს. მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირებს.

დეტალური ინფორმაცია დაინტერესებულთ შეუძლიათ იხილონ შემდეგ მისამართზე: *www.augtion.ge.*

სსიპ ამბროლაურის მე-2 აჯარო სკოლის დირექცია

აღმოჩენა - პოეზიის ახალი მარგალიტი

ამბროლაურის საბავშო ბიბლიოთეკა (გამგე მ. მახალდიანი) დანიშნულების მისაღწევად, რასაც ჰქვია ბავშთა წიგნთან დამეგობრება, კითხვის შეყვარება და დამოუკიდებელი აზროვნების განვითარება, საინტერესო ღონისძიებებს სთავაზობს ნორჩ მკითხველებს, რომელთა ნაკლებობას ნამდვილათ არ ვუჩივით. თუმცა ანგარიშსაც ვუწევთ მათ იმ თვალსაზრისით, რომ სკოლებშიც დატვირთული არიან სასწავლო პროცესებით. ჩვენ ხომ „რეჟისორები“ არა ვართ რომ მათ პროფესიულ დონეზე მოვითხოვოთ ლექსისა თუ მოთხრობის ხმამაღლა კითხვის ოსტატობა. მთავარია, რომ მათ სწორად შეურჩიოთ წიგნი და დავეხმაროთ შინაარსის სწორად გააზრებაში. ცხადია, მათებურად, მაგრამ სწორი მიმართულებით.

ამ კუთხით მათთვის ძალზე მიმზიდველია პროგრამა სლოგანით „ნორჩი შემოქმედნი“, სადაც ბავშვები ახდენენ თავიანთი შემოქმედების გაცნობას და ამავდროულად იღებენ თანატოლთა შეფასებასაც.

ამჯერად ბიბლიოთეკის სტუმარი იყო ქალაქის მე-2 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე **კესო შარაბიძე**, რომელმაც თანატოლთა სამსჯავროზე გამოიტანა თავისი შემოქმედება-პოეზია. სულ განაბული დარბაზი და ბოლოს მქუხარე ტაში დასტურია იმისა, რომ კესოს ლექსები მოწონებულია. ამიტომაც გამოვიტანეთ სათაურად მსმენელის შეფასება **„აღმოჩენა – პოეზიის ახალი მარგალიტი“**.

წარმატებას ვუსურვებთ კესოს და, რა თქმა უნდა, ქალაქის პირველი და მე-2 საჯარო სკოლების მე-12 და მე-9 კლასების მოსწავლეებს **გიგი გიორგობიანს** და **მარიამ გველეთიანს**, რომელთა ნახატების გამოფენამ კესოს ლექსების კითხვის ფონზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ღონისძიების მონაწილეებზე.

გ. ლომთაძე

რედაქტორი
დალი დარახველიძე

რედაქციის მისამართი:
ქ. ამბროლაური,
დავით აღმაშენებლის ქუჩა №24
ტელ: 593 60 40 67

„ამბროლაურის მოამბე“
რეგისტრირებულია ამბროლაურის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის №15/5/ბ103

გაზეთი დაიბეჭდა
ბაჯური ყილაძის მიერ
ქუთაისი, წერეთლის ქ. №186.
ტელ: 0431 23 45 54

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს, ავტორი პასუხისმგებელია მასალის, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსსა და სტილზე.